საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/100 " 13 " ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

მ. ჩუბინიძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №1/83 განკარგულებით ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 8 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 5 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 2 მოსამართლის, მათ შორის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, მალხაზ ჩუბინიძის განაცხადი.

მალხაზ ჩუბინიძე სამოსამართლო საქმიანობას ეწევა უკვე 20 წელია. აღსანიშნავია, რომ იგი 2019 წლიდან თანამდებობაზე დანიშნულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე და უფლებამოსილებას ახორციელებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, როგორც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატი მოსამართლე. მ. ჩუბინიძის მრავალწლიანი სამოსამართლო სტაჟი და მოტივაცია, ქმნის იმის წინაპირობას შევაფასოთ, რომ იგი წარმატებით შეძლებს განაგრძოს საქმიანობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, მალხაზ ჩუბინიძე გათავისუფლდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე